27.03.24-1

27.03.24

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ბატონ ვასილ გედევანიშვილს

მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150

ტელეფონი: +995 32 243 95 03

ბატონო ვასილ,

შპს „ჯასთ ფროდაქშენი" (ს/კ:405500015) თქვენი 2024 წლის 13 მარტის # 21/2624 წერილით მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით გიგზავნით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 მუხლის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე წინამდებარე განცხადებას და ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს. შენიშვნების განმარტებები მოცემულია ცხრილის სახით

შენიშვნა	განმარტება
დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს სამუშაო რეჟიმი და წარმადობა. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს წარმადობა იქნება 300 ტ/სთ, ასევე ანგარიშში აღნიშნულია 320 ტ/სთ. გარდა ამისა, დოკუმენტში მითითებულია, რომ საწარმოს წლიური წარმადობა შეადგენს **200 000 ტონას**, თუმცა საწარმოს სამუშაო რეჟიმისა და საათობრივი წარმადობების გათვალისწინებით, 300 ტ/სთ-ის შემთხვევაში საწარმოს წლიური წარმადობა იქნება **633 600 ტ**, ხოლო 320 ტ/სთ-ის შემთხვევაში - **675 840 ტ**;	საწარმოს წარმადობაა 320 ტ/სთ. სკოპინგის ჩანაწერები მოვიდა შესაბამისობაში. რაც შეეხება საწარმოს დაგეგმილ წლიურ წარმადობას, შეადგენს **200 000 ტონას**, რაც პირდაპირ პროპორციული არ არის საწარმოს სამუშაო რეჟიმის, სამუშაო პროცესი არ მოიცავს, მხოლოდ საწარმოს სრული დატვირტვით ასფალტის წარმოებას. 8 საათიან სამუშაო დღეში შედის შემდეგი პროცესები: • ნედლეულის მიღება, • ნედლეულის გაცემა, • ასფალტის წარმოება, • ბიტუმის ემულსიის წარმოება, • სხვადასხვა სახის ტექნიკური სამუშოები, • ადმინისტრაციული და მენეჯმენტ პროცესები და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაო საათების განმავლობაში ასფალტის წარმოების პროცესი უწყვეტად არ მიმდინარეობს და შესაბამისად ქარხანა წინასწარ დაგეგმილი წარმადობის ფარგლებში მუშაობს.

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
02. 04. 2024 წ.
№ 3468

shp ფაილებზე ასახული ინფორმაცია არ იდენტიფიცირება. shp ფაილები წარმოდგენილი უნდა იყოს „WGS 1984 - UTM Zone 38N" პროექციით;	shp ფაილები მოწოდებულია WGS 1984 - UTM Zone 38N" პროექციით - DWG ფაილი, რომელიც დანართის სახით ახლავს წერილს - CD დისკზე. - ტექნიკური ხარვეზის პრევენციის მიზნით, საკვლევი ტერიტორიის პერიმეტრის კოორდინატები, ასევე მოცემულია Excel-ის ფაილში.
სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს **500 მეტრის დაშორებით.** საწარმოს ადგილმდებარეობის ალტერნატივებში განხილულია 3 ალტერნატიული ვარიანტი და აღნიშნულია, რომ ერთ-ერთ ალტერნატიულ ვარიანტად განხილული მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.10.17.096) „აკმაყოფილებდა საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნებს, **მაგრამ ტერიტორიის სიახლოვეს განთავსებული იყო საცხოვრებელი სახლები**". აღნიშნული მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.10.17.096) საკადასტრო კოდის ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ მიწის ნაკვეთიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 1200 მეტრით, შესაბამისად დასაბუთებას საჭიროებს შერჩეული ალტერნატიული ვარიანტის საფუძველი;	ანგარიშის მომზადებისას მოხდა მექანიკური შეცდომა საკადასტრო კოდის ჩანაწერთან დაკავშრებით. ალტერნატიულ ვარიანტად განხილულია მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.10.17.041). აღნიშნული ნაკვეთიდან სოფელი მარტყოფის დასახლება დაშორებულია 300 მ-ით. ანგარიში შესაბამისად დაკორექტირდა
დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობის განხორციელების ადგილების საკადასტრო კოდები, კერძოდ, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმო მოეწყობა ორ მიწის ნაკვეთზე, თუმცა ანგარიშის სატიტულო გვერდზე, ასევე გვ. 4-ზე და გვ. 32-ზე მითითებულია იდენტური საკადასტრო კოდები (81.09.33.450);	აღნიშნული წარმოადგენს მექანიკურ ხარვეზს, რომელიც გასწორებულია.
სკოპინგის ანგარიში სტრუქტურულად გაუმართავია, ასევე მოიცავს ტერმინოლოგიურ უზუსტობებს, ტექნიკურ ხარვეზებს, ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის წინადადებებს და არარელევანტურ ინფორმაციებს, რაც არ იძლევა დოკუმენტაციის სათანადოდ აღქმისა და შეფასების საშუალებას	როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს ნებართვების განყოფილებასთან სატელეფონო საუბრისას აღინიშნა, ეს შენიშვნა გამომდინარეობს ზემოთ მოცემული კონკრეტული შენიშვნების შინაარსიდან და არ აქვს დამოუკიდებელი საფუძველი. ინფორმაციისთვის აღვნიშნავთ, რომ ასფალტის ქარხნის ექსპლუატაციაზე, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2022 წლის 9 ივნისის N 130/ს ბრძანებით გაცემულია სკოპინგის დასკვნა N 28. გზშ-ს ეტაპზე გარემოს ეროვნული

	სააგენტოს შენიშვნის (საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან შეუთავსებლობა) საფუძველზე მენეჯმენტმა გადაწყვიტა საწარმოს ადგილმდებარეობის ცვლილება, შესაბამისად წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში სტრუქტურულად და ტერმინოლოგიურად არ შეცვლილა, განახლდა ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშრებულია ახალი ადგილმდებარეობის სპეციფიკასთან.

დანართები:

- ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - ელექტრონული ვერსია CD დისკზე;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის შეიფ ფაილები DWG - ელექტრონული ვერსია CD დისკზე;
- ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - ბეჭდური ვერსიის 1 ეგზემბლიარი.

პატივისცემით,

ნინო კიკაბიძე

შპს ,,ჯასთ ფროდაქშენის'' დირექტორი